# შპს კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ბიზნესის სკოლა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა |

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე** | Bachelor's Program in Business Administration (Specializations: Finance, Marketing, Management, Accounting) (delivered in English) |

| | |
|---|---|
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური** | ბაკალავრიატი |

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | აკადემიური |

| | |
|---|---|
| **სწავლების ენა** | ინგლისური |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი** | 0413 |
| **ქართულად:** | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| **ინგლისურად:** | Bachelor of Business Administration |
| **პროგრამის დამტკიცების თარიღი** | 05.12.2020 |
| **პროგრამის განახლების თარიღი** | |
| **პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი** | ხელმძღვანელი:<br>- დავით წიკლაური, პროფესორი<br>თანახელმძღვანელები:<br>- ელენე ჯღარკავა, ასოცირებული პროფესორი |

| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | 240 ECTS კრედიტი |
|---|---|

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პირველი კურსი 60 ECTS კრედიტი, მეორე კურსი 62 ECTS კრედიტი, მესამე კურსი 58 ECTS კრედიტი, მეოთხე კურსი 60 ECTS კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილ დრო).

პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.
პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია „ძირითადი სწავლის სფეროს" სასწავლო და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებად:

„ძირითადი სწავლის სფეროს" სასწავლო კურსები (158 კრედიტი):
ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 128/123 კრედიტი;
კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი;
კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი.

თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (82 კრედიტი):
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 62 კრედიტი;
საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 5/10 კრედიტი;
თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი.

პროგრამაში უცხოენოვანი საგნების ნაწილი წარმოდგენილია ინგლისური ენისა და მეორე უცხო ენის (თურქული, ესპანური) სახით, რომელთაგან მხოლოდ ერთის აღება უწევს სტუდენტს.

ინგლისური ენა პროგრამაში იყოფა ზოგად და პროფესიულ მიმართულებებად. ორივე მიმართულების ხვედრითი წილი საერთო 240 კრედიტიდან ჯამში შეადგენს 20 ECTS კრედიტს.

მეორე უცხო ენის (თურქული ან ესპანური) პროგრამულად 30 ECTS კრედიტს შეადგენს მეორე უცხო ენის წილი პროგრამაში.

იმ შემთხვევაში თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი, დოკუმენტურად დაადასტურებს პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი ინგლისურის ცოდნის დონეს, იგი თავისუფლდება ინგლისური ენის გავლისგან და ამ კრედიტების ფარგლებში შეისწავლის ქართულ ენას.

თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი ამავდროულად ფლობს ქართულ ენასაც, მაშინ იგი უფლებამოსილია აღნიშნული კრედიტები აითვისოს თავისუფალი კრედიტების პრინციპით.

| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | |
|---|---|

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.<br><br>პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ დანახული ბაზარზე არსებული საჭიროებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ბიზნესის სკოლების გამოცდილებას და იზიარებს ბიზნესის ადმინისტრირებაში დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს.<br><br>კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია, სტუდენტს:<br><br>Obj. 1 - მისცეს ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ასევე ერთ-ერთ ფუნქციურ მიმართულებებში, როგორიცაა ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი;<br><br>Obj. 2 - განუვითაროს სხვადასხვა დონის მენეჯერული რგოლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში შესაბამისი (ფინანსისტის, მარკეტერის, ბუღალტერ-აუდიტორის და ა.შ.) ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის;<br><br>Obj. 3 - მისცეს თეორიული ცოდნა და განუვითაროს უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იქნება ენტრეპრენერული საქმიანობისათვის;<br><br>Obj. 4 - შესთავაზოს ისეთი პროგრამა, რომელიც თანხვედრაში არის საერთაშორისო უნივერსიტეტების ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც მას მომავალში საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა საქართველოსა, თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში.<br><br>Obj. 5 - ჩამოუყალიბოს ისეთი მსოფლმხედველობა და ფასეულობები, რომლებიც გახდიან მას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ზნეობრივად სრულყოფილ, ზოგადსაკაცობრიო იდეალების ერთგულ, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების და ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე პირად. |

| | |
|---|---|
| **პროგრამის სწავლის შედეგები** | ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი კომპეტენციები:<br><br>P.L.O.1. - განსაზღვროს და აღწეროს ბიზნესის ადმინისტირების ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ;<br>- P.L.O 1.1 ფინანსების კონცეტრაციისთვის - განსაზღვროს და აღწეროს ფინანსების ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ; დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს ორგანიზაციის ფინანსური საქმინობა; მოამზადოს საფინანსო ანგარიშები;<br>- P.L.O 1.2 მარკეტინგის კონცეტრაციისთვის - განსაზღვროს და აღწეროს მარკეტინგის ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ; დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს ორგანიზაციის მარკეტინგული მიმართულების საქმიანობა, მოახდინოს კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობის წარმოება;<br>- P.L.O 1.3 მენეჯმენტის კონცეტრაციისთვის - განსაზღვროს და აღწეროს მენეჯმენტის ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ; დაგეგმოს. განახორციელოს და შეაფასოს ორგანიზაციის მენეჯმენტის მიმართულების საქმიანობა, განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვის პროცესი.<br>- P.L.O 1.4 საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის კონცეტრაციისთვის - განსაზღვროს და აღწეროს საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ; დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს ორგანიზაციის საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის მიმართულები საქმიანობა, მოამზადოს საგადასაცადო ანგარიშები.<br><br>P.L.O.2. მის წინაშე არსებული ამოცანიდან გამომდინარე<br>- შეარჩიოს ბიზნეს მოდელები, რომლითაც შეაფასებს ბიზნესგარემოს, იდეას და/ან პროექტს<br>- დასახოს მისაღწევი მიზნები<br>- და დაგეგმოს საჭირო ქმედებები-მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;<br><br>P.L.O.3. პრაქტიკაში გამოიყენოს მენეჯერული პოზიციისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები;<br><br>P.L.O.4. გაანალიზოს არსებული სიტუაცია შესაბამისი მოდელებისა თუ ანალიტიკური საშუალებების მეშვეობით, იდენტიფიცირება მოახდინოს საკვანძო საკითხების და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები;<br><br>P.L.O.5. განახორციელოს ეფექტური წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით და ზოგადი თემების ირგვლივ, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო გარემოში;<br><br>P.L.O.6. განსაზღვროს და გაათვითცნობიეროს, თუ რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, ჰუმანური ფასეულობები, სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკური ქცევა. |
| **დასაქმების სფეროები** | - ნებისმიერი პროფილის და ინდუსტრიის კომპანიებში მარკეტინგის/საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის/ და სხვა მარკეტინგის მიმართულების დეპარტამენტებში საწყისი და საშუალო მენეჯერული დონის პოზიციები<br>- სარეკლამო სააგენტოში სხვადასხვა საწყისი და საშუალო მენეჯერული დონის პოზიციები |

| | |
|---|---|
| | - მარკეტინგული კვლევის ორგანიზაციაში სხვადასხვა საწყისი და საშუალო დონის პოზიციები<br>- საკონსულტაციო სექტორი<br>- ნებისმიერი კომპანიის საბუღალტრო განყოფილება<br>- აუდიტორულ კომპანიები<br>- საჯარო დაწესებულებებში - ბუღალტერია, შიდა აუდიტი<br>- მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები;<br>- საბანკო სექტორი;<br>- არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები;<br>- სამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაციები;<br>- არასამთავრობო ორგანიზაციები. |
| **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა** | კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში. |

| **პროგრამის სხვა რესურსები** | |
|---|---|

კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლა არის მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს მიმდინარე და დაგეგმილი აკადემიური პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, პროგრამებში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლას და პროფესიულ განვითრებას.

**საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი:**

AACSB ასოციაციის (Association to Advance Collegiate Schools of Business) წევრი

- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN) წევრი;
- საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების კავშირის (NIBES) წევრი;
- უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორიშო ასოციაცია (IAUP)
- გაერთიანებული ერების აკადემიური გავლენა (UNAI)

# პროგრამის სასწავლო გეგმა

| № | კოდი | წინაპირობა | სასწავლო კურსი/მოდული | სწავლების წელი | | | | | | | | ჯამური ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | | II | | III | | IV | | |
| | | | | ECTS კრედიტი | | | | | | | | |
| | | | | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | I სემესტრი | II სემესტრი | |
| საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (62 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 1. | ACWR 0007E | | აკადემიური წერა | 5 | | | | | | | | |
| 2. | HIST 0003E | | საქართველოს ისტორია | 5 | | | | | | | | |
| 3. | GENGF 0001/GEO 0001 | | ინგლისური ენის ზოგადი უნარები B2+ (ნაწილი I)/ქართული ენა A1 | 2.5/5 | | | | | | | | |
| 4. | GENGF 0002/GEO 0002 | GENGF 0001/GEO 0001 | ინგლისური ენის ზოგადი უნარები B2 + (ნაწილი II)/ქართული ენა A2 | | 2.5/5 | | | | | | | |
| 5. | GENG 0005G/GEO 0003 | GENGF 0002/GEO 0002 | ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი C1.0/ქართული ენა B1.1 | | | 2.5/ 5 | | | | | | |
| 6. | GENG 0006G/GEO 0004 | GENG 0005G/GEO 003 | ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი C1/ქართული ენა B1.2 | | | | 2.5/5 | | | | | |
| 7. | TURK 0001E/ ESP 0001E/ GERM 0001E | | თურქული ენა A1.0 /ესპანური ენა A1.0/ გერმანული ენა A1.0 | 5 | | | | | | | | |
| 8. | TURK 0002E/ ESP 0002E/ GERM 0002E | TURK 0001E/ ESP0001E/ GERM 0001E | თურქული ენა A1 /ესპანური ენა A1/ გერმანული ენა A1 | | 5 | | | | | | | |
| 9. | TURK 0003E/ ESP 0003E/ GERM 0003E | TURK 0002E/ ESP 0002E/ GERM 0002E | თურქული ენა A2.0 /ესპანური ენა A2.0/ გერმანული ენა A2.0 | | | 5 | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10. | TURK 0004E/ ESP 0004E/ GERM 0004E | TURK 0003E/ ESP 0003E/ GERM 0003E | თურქული ენა A2ესპანური ენა A2/ გერმანული ენა A2 | | | | 5 | | | | | |
| 11. | TURK 0005E/ ESP 0005E/ GERM 0005E | TURK 0004E/ ESP 0004E/ GERM 0004E | თურქული ენა B1.0 /ესპანური ენა B1.0/ გერმანული ენა B1.0 | | | | | 5 | | | | |
| 12. | TURK 0006E/ ESP 0006E/ GERM 0006E | TURK0005E/ ESP0005E/ GERM 0005E | თურქული ენა B1 /ესპანური ენა B1/ გერმანული ენა B1 | | | | | | 5 | | | |
| 13. | INTE 1110E | | საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 | 2,5 | | | | | | | | |
| 14. | INTE 1210E | INTE 1110E | საინფორმაციო ტექნოლოგიები 2 | | 2,5 | | | | | | | |
| 15. | INTE 2110E | INTE 1210E | საინფორმაციო ტექნოლოგიები 3 | | | 3,5 | | | | | | |
| 16. | INTE 2210E | INTE 1210E | საინფორმაციო ტექნოლოგიები 4 | | | | 3,5 | | | | | |
| **საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები (5 კრედიტი)** | | | | | | | | | | | | |
| 17. | HIST 0001E/ SOCI 0004E | | მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია / სოციოლოგიის შესავალი | | 5 | | | | | | | |
| 18. | POLS0002E/ PSYC0006E/ PHIL0005E | | პოლიტიკური მეცნიერების შესავალი / ფსიქოლოგიის შესავალი /ფილოსოფიის შესავალი | | | 5 | | | | | | |
| **ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები (128 კრედიტი)** | | | | | | | | | | | | |
| 19. | MATH0001E[1] | | პრეკალკულუსი | 5 | | | | | | | | |
| 20. | MATH 0003E | MATH 0001E[2] | კალკულუსი 1 | | 5 | | | | | | | |
| 21. | MATH 0004E | MATH 0003E | კალკულუსი 2 | | | 5 | | | | | | |
| 22. | MATH 0002E | MATH 0004E | წრფივი ალგებრა | | | | 5 | | | | | |
| 23. | ECON 2110E | | მიკროეკონომიკის საფუძვლები | 5 | | | | | | | | |
| 24. | ECON 2210E | ECON 2110E | მაკროეკონომიკის საფუძვლები | | 5 | | | | | | | |
| 25. | PENGF 0001E | | P1 პროფესიული ინგლისური ენა | 2.5 | | | | | | | | |
| 26. | PENGF 0002 | PENGF 0001 | P2 პროფესიული ინგლისური ენა | | 2.5 | | | | | | | |
| 27. | PENGF 0003 | PENGF 0002 | P3 პროფესიული ინგლისური ენა | | | 2.5 | | | | | | |
| 28. | PENGF 0004 | PENFG 0003 | P4 პროფესიული ინგლისური ენა | | | | 2.5 | | | | | |

[1] სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ სავალდებულოა მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ ჩააბარეს მათემატიკა. სტუდენტები, რომლებიც პროგრამაზე ჩაირიცხნენ მათემატიკის ჩაბარების შედეგად, მეორე კურსზე საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან ირჩევენ ორ სასწავლო კურსს (10 კრედიტი).

[2] სასწავლო კურსის „კალკულუსი 1“ წინაპირობა „პრეკალკულუსი“ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ ჩაუბარებია მათემატიკა და შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა სასწავლო კურსის „პრეკალკულუსი“ გავლა.

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29. | ACCT 2110E | | ფინანსური აღრიცხვა | | | 5 | | | | | | |
| 30. | BUSA 2110E | | ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები | | | 5 | | | | | | |
| 31. | ACCT 2210E | ACCT 2110E | მენეჯერული აღრიცხვა | | | | 5 | | | | | |
| 32. | MK 2210E | | მარკეტინგის საფუძვლები | | | | 5 | | | | | |
| 33. | MNG 3110E | | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | 5 | | | | | |
| 34. | BCOM 3110E | | ბიზნეს კომუნიკაცია | | | | | 5 | | | | |
| 35. | STAT 3110E | | ბიზნეს სტატისტიკა | | | | | 5 | | | | |
| 36. | FI 3111E | ACCT 2110E | ფინანსების შესავალი | | | | | 5 | | | | |
| 37. | CSR 3110E | | კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა | | | | | 3 | | | | |
| 38. | MNG 3213E | MNG 3110E | ორგანიზაციული ქცევა | | | | | 5 | | | | |
| 39. | FI 3213E | ACCT 2110E | საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები | | | | | | 5 | | | |
| 40. | FI 3110E | FI 3111E | კორპორაციული ფინანსები | | | | | | 5 | | | |
| 41. | DATA 3210E | STAT3110E<br>INTE 2110E | მონაცემთა ანალიზი და ბიზნესის მოდელირება | | | | | | 5 | | | |
| 42. | LEAD 3210E | MNG 3110E | ლიდერობა | | | | | | 5 | | | |
| 43. | MK 4212E | MK 2210E | სტრატეგიული მარკეტინგი | | | | | | 5 | | | |
| 44. | STRAT 4110E | MNG 3110E | სტრატეგიული მართვა | | | | | | | 5 | | |
| 45. | MGS 4213E | | პროექტების მართვა | | | | | | | | 5 | |
| 46. | BPD 4210E | MNG 3110E, FI 3111E,MK 4212E | ბიზნესის გეგმის განვითარება | | | | | | | | 5 | |
| **ფინანსების კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები (25 კრედიტი)** | | | | | | | | | | | | |
| 47. | FI 3214E | ACCT 2110E | ფინანსური ანგარიშგება | | | | | | | 5 | | |
| 48. | FI 4114E | FI 3111E | ინვესტიციები | | | | | | | 5 | | |
| 49. | FI 4112E | FI 3110E | საბანკო საქმე | | | | | | | 5 | | |
| 50. | FI 4115E | FI 3214E | ფინანსური უწყისების ანალიზი | | | | | | | | 5 | |
| 51. | FI 4216E | | ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები | | | | | | | | 5 | |
| **ფინანსების კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსები (5 კრედიტი)** | | | | | | | | | | | | |
| 52. | FI 4111E | FI 3110E | საერთაშორისო ფინანსები | | | | | | | 5 | | |
| 53. | FI 4219E | | მონეტარული პოლიტიკა | | | | | | | 5 | | |
| 54. | FI 4213E | | ფინანსური ინსტიტუტების მართვა | | | | | | | | 5 | |
| 55. | FI 4217E | | შერწყმა, შესყიდვა, რეორგანიზაცია | | | | | | | | 5 | |
| 56. | FI 4211E | FI 4114E | გლობალური პორტფელის მართვა | | | | | | | | 5 | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 57. | INT 4210E | [3] | პრაქტიკა | | | | | | | | 5 | |
| საბუღალტრო აღრიცხვისკონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები (25 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 58. | ACCT 3214E | ACCT 2110E | აუდიტის შესავალი კურსი | | | | | | | 5 | | |
| 59. | ACCT 3213E | ACCT 2110E | ფინანსური ანგარიშგება 1 | | | | | | | 5 | | |
| 60. | ACCT 4118E | FI 3213E | გადასახადების ადმინისტრირება | | | | | | | 5 | | |
| 61. | ACCT 4117E | ACCT 3213E | ფინანსური ანგარიშგება 2 | | | | | | | | 5 | |
| 62. | ACCT 4116E | ACCT 3214E | აუდიტის გაძლიერებული კურსი | | | | | | | | 5 | |
| საბუღალტრო აღრიცხვისკონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსები (5 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 63. | FI 4114E | FI 3111E | ინვესტიციები | | | | | | | 5 | | |
| 64. | ACCT 4212E | ACCT 2110E | ბუღალტერიის საინფორმაციო სისტემები-ORIS ბუღალტერია | | | | | | | 5 | | |
| 65. | BALA 4111E | ACCT 2110E | საბუღალტრო პროგრამა ბალანსი [4] | | | | | | | 5 | | |
| 66. | ACCT 4215E | ACCT 3213E | ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები | | | | | | | | 5 | |
| 67. | ACCT 4214E | ACCT 3213E | ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის | | | | | | | | 5 | |
| 68. | INT 4210E | | პრაქტიკა | | | | | | | | 5 | |
| მარკეტინგის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები (25 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 69. | MK 3211E | MK 2210E | მომხმარებლის ქცევა | | | | | | | 5 | | |
| 70. | MK 3212E | MK 2210E | მარკეტინგული კვლევა | | | | | | | 5 | | |
| 71. | MK 4110E | MK 4212E | ბრენდის მართვა | | | | | | | 5 | | |
| 72. | MK 4111E | MK 4212E | ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია | | | | | | | | 5 | |
| 73. | MK 4216E | | ციფრული მარკეტინგისა და ელ-კომერციის საფუძვლები | | | | | | | | 5 | |
| მარკეტინგის კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსები (5 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 74. | MK 4113E | | სერვის-ორგანიზაციების მარკეტინგი | | | | | | | 5 | | |
| 75. | MK 4010E | | სპორტის მარკეტინგი | | | | | | | 5 | | |
| 76. | MK 4217E | | კრეატიული კონტენტ მარკეტინგი | | | | | | | 2.5 | | |
| 77. | MK 4119E | | მყიდველის მომსახურება (სერვის პლიუსი) | | | | | | | 2.5 | | |
| 78. | MK 3216E | MK 2210E | გაყიდვების მართვა | | | | | | | 5 | | |
| 79. | MK 4214E | | საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია | | | | | | | | 5 | |
| 80. | MK 4118E | | საცალო ვაჭრობა | | | | | | | | 5 | |

[3] პრაქტიკის კომპონენტის შესწავლის წინაპირობაა ბიზნესის ადმინისტრირების ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში დადებითი შეფასების მიღება.
[4] საბუღალტრო პროგრამა აბლანსი არის არჩევითი კურსი და მხოლოდ საქართველოში მცხოვრები სტუდენტებისთვის.

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 81. | INT 4210E | | პრაქტიკა | | | | | | | | 5 | |
| მენეჯმენტის კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები (25 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 82. | MNG 3214E | MNG 3110E | ოპერაციების მართვა | | | | | | | 5 | | |
| 83. | MNG 4111E | | მეწარმეობა | | | | | | | 5 | | |
| 84. | MNG 4112E | | ადამიანური რესურსების მართვა | | | | | | | 5 | | |
| 85. | MNG 4114E | | მიწოდების ჯაჭვის მართვა და ლოგისტიკა | | | | | | | | 5 | |
| 86. | MNG 4211E | | ხარისხის სრული მართვა | | | | | | | | 5 | |
| მენეჯმენტის კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსები (5 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 87. | MNG 3211E | MNG 3110E | მომხმარებლის გამოცდილების მართვა | | | | | | | 2.5 | | |
| 88. | MNG 3212E | MNG 3110E | შესაძლებლობების მართვა | | | | | | | 2.5 | | |
| 89. | MNG 4113E | | მოლაპარაკების წარმოების მეთოდები | | | | | | | 5 | | |
| 90. | MNG 4118E | | სავაჭრო არხების სტრატეგია | | | | | | | 5 | | |
| 91. | MNG 4219E | | ბიზნეს მოდელის ინოვაცია | | | | | | | | 5 | |
| 92. | MNG 4212E | | ინოვაციების მართვა | | | | | | | | 5 | |
| 93. | INT 4210E | | პრაქტიკა | | | | | | | | 5 | |
| თავისუფალი კრედიტები (15 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 94. | | | თავისუფალი კრედიტი (სხვა პროგრამის / სხვა კონცენტრაციის სასწავლო კურსები) | | | | | | | 15 | | |
| **ECTS კრედიტები** | | | **სემესტრში** | **32.5** | **27.5** | **28.5** | **33.5** | **28** | **30** | **30** | | **30** |
| | | | **წელიწადში** | **60** | | **62** | | **58** | | **60** | | **240** |